

შპს “ჯიველი”

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
დასრულებული წლისთვის

შპს 'ჯიველი'-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნები	31.12.2019	31.12.2018
აქტივები		
<i>მიმდინარე აქტივები</i>		
ფულადი სახსრები	50289	42,019
სავაჭრო მოთხოვნები 7.1	331653	285140
გადახდილი ავანსები	113924	14582
სხვა მოთხოვნები 7.2	338793	321115
სასაქონლო მატერიალური მარაგები 8	1036376	971594
	1871035	1634450
 <i>გრძელვადიანი აქტივები</i>		
ძირითადი საშუალებები 9	5232257	4389126
	5232257	4389126
სულ აქტივები	7103292	6023576

ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი

მოკლევადიანი ვალდებულებები

საეჭრო ვალდებულებები	12	124564	106807
გადასახდელი ხელფასები		42559	44001
მოკლევადიანი სესხები პარტნიორებისგან		10478	10028
გადასახდელი პროცენტები	11.2	3406035	2269841
საგადასახადო ვალდებულებები		34796	15892
სხვა ვალდებულებები		3956	3346
ფინანსური იჯარის ვალდებულებები	13		0

		3622388	2449915
--	--	---------	---------

გრძელვადიანის სესხი პარტნიორიდან	11.1	11437802	9435738
ბანკის სესხი	10	164478	216638

		11602280	9652376
--	--	----------	---------

სულ ვალდებულებები		15224668	12102291
-------------------	--	----------	----------

საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი		14710	14710
დაუფარავი ზარალი		(8136086)	(6093425)

		(8121376)	(6078715)
--	--	-----------	-----------

სულ ვალდებულებები და კაპიტალი		(7103292)	(6023576)
-------------------------------	--	-----------	-----------

შპს 'ჯიველი'-ს ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

კლიენტებისგან და დებიტორებისგან

მიღებული ფული

1627656

კრედიტორებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები

(1932206)

თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები

(533602)

გადახდილი პროცენტი

(25726)

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან (863878)

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

ძირითადი საშუალებების შეძენა

(590636)

გადახდილი თანხები ფინანსურ იჯარაზე

(0)

წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან (590636)

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან

სესხის მიღება

1506484

სესხის თანადაფინანსება

23693

სესხის დაფარვა

(66540)

სავალუტო კურსის ეფექტი

(853)

წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან 1462784

ფულისა და ფულის ექვივალენტების წმინდა ზრდა

8270

ფულისა და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში

42019

ფულისა და ფულის ექვივალენტების პერიოდის ბოლოს

50289

შპს “ჯიველი“-ს 2019 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება (ხარჯების ფუნქციების მიხედვით)

	შენიშვნები	2019
ამონაგები	3	1606959
რეალიზებული პროდუქციის		
თვითღირებულება		(1126542)
საერთო მოგება		480417
სხვა შემოსავალი	4	218505
დასაქმებულთა ანაზღაურება		(601025)
იჯარა		(41366)
მიწოდების ხარჯები		(15322)
ცვეთა და ამორტიზაცია		(235245)
საგადასაადო ხარჯები		(56893)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები		(99271)
სხვა ხარჯები	6	(29946)
ფინანსური დანახარჯები (საპროცენტო) 5		(1050942)
სხვაობა სავალუტო ოპერაციიდან		(611573)
მოგება დაბეგვრამდე		(2042661)
მოგების გადასახადის ხარჯი		0
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი		(2042661)
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი		
წლის დასაწყისში		(6078715)
ღივიდენდები		0
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი		
წლის ბოლოს		(8121376)

შპს “ჯიველი“-ს სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2019 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს “ჯიველი” ს ძირითადი საქმიანობაა ღვინის წარმოება და რეალიზაცია. საქმიანობის ადგილია თელავი, სოფ. კარდისუბანი.

საზოგადოების დამფუძნებლები არიან:

ავთანდილ ჭარბაძე	24%
ზურაბ ჭარბაძე	25%
ჯერზი მარიან ბერძი	51%

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS for SMEs) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში: “ლარში”.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო

სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური ვადები:

შენობა-ნაგებობები	50 წელი
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა	5-50 წელი
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	2-100 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	2-50 წელი
ტრანსპორტი	5 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების შეფასება, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მრგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო

ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და მისი მიღებისათვის საჭირო დანახარჯების დამატებით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკუროსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

მოგების გადასახადი

2017 წლის 01 იანვრიდან მოგების გადასახადის დაბეგვრის მიზნით მოქმედებს ე.წ. “ესტონური მოდელი”, რის მიხედვითაც საწარმო მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა:

- ა) ხდება პარტნიორებზე მოგების განაწილება დიდვიდენდის სახით;
- ბ) გაწეულია ხარჯი ან სხვა გადახდა რაც დაკავშირებული არ არის საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- გ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება ან ფულადის სახსრების გადაცემა;
- დ) საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით წარმომადგენლობითი ხარჯის გაწევა.

3. ამონაგები

2019

ლარი

საქონლის გაყიდვა

1606959

4. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალს წარმოადგენს თანადაფინანსებით მიღებული შემოსავლები 40394 ლარი (მათ შორით სესხის თანადაფინანსება 23694 ლარი და მუნიციპალური განვითარების პროგრამის ფარგლებში მიღებული დაფინანსება 16700 ლარი); ძირითადი საშუალების აფასება, ცვეთის ამოწევა 8584 ლარი; დაბრუნებული გადასახადი 3318 ლარი და საკუთარი პროდუქციის ერთობლივ შემოსავალში გადატანა 166209; სულ 218505 ლარი.

5. ფინანსური დანახარჯები

2019

ლარი

ბანკის სესხის პროცენტი

(25710)

პარტნიორიდან მიღებული სესხის

პროცენტი

(1025232)

ფინანსური იჯარის პროცენტი

(0)

 (1050942)

6. სხვა ხარჯები

სარემონტი ხარჯი

9971

ძირ. საშუალების ჩამოწერა

184

სასწორის დამოწმება

775

ლაბორატორიული მომსახურება

12607

წარმომადგენლობითი ხარჯი

330

საწევროს გადასახადი

680

ჯარიმა

771

წარმოების დანაკარგი და უსასყ.მიწოდება

4628

29946

7.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

31.12.2019

31.12.2018

ლარი

ლარი

7.1 სავაჭრო დებიტორები

331653

285,140

7.2 მოთხოვნები საწარმოს

პერსონალის მიმართ

338793

321115

670446

606255

8.სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

31.12.2019

31.12.2018

ლარი

ლარი

საქონელი და ნედლეული

866398

849024

დაუმთავრებელი წარმოება

მზა პროდუქცია

169978

122570

1036376

971594

9.ძირითადი საშუალებები

	მიწა; შენობა ნაგებობები; დაუმთავრებ ელი მშენებლობა	არამატერ იალური აქტივი	მანქანა დანადგარე ბი	ტრანსპ ორტი	ოფისის აღჭურვი ლობა; ავეჯი და ინვენტარ ი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყ ობა	სულ
თვითღირებ ულება							
31.12.2018	1805768	763	1319307	88086	254133	921069	4389126
შემოსვლა	402554		297488	56600	90623	246062	1093327
გადაფასება					7510		7510
გასვლა					8374		8374
31.12.2019	2208322	763	1616795	144686	343892	1167131	5481589
ცვეთა და გაუფასურე ბა	36738		112302	30595	46422	23275	249332
31.12.2019							
საბალანსო ღირებულებ ა	2171584	763	1504493	114091	297470	1143856	5232257

შენიშვნა: 2019 წელს ცვეთის დარიცხვა განხორციელდა აგრეთვე დაუმთავრებელ მშენებლობაზე, ვინაიდან ფაქტიურად წარმოების პროცესი დამთავრდა და შენობა ექსპლოატაციაში შევიდა 2019 წლის ოქტომბერში და ამ პერიოდამდე რომლის მხოლოდ 75% დასრულებულია, ცვეთის 32085 ლარის დარიცხვა განხორციელდა პროპორციულად დასრულებული ფართობის ღირებულების შესაბამისად.

10.სესხები ბანკიდან	31.12.2019
	ლარი
თიბისი ბანკი	164478

11.ვალდებულებები პარტნიორის მიმართ	31.12.2019
	ლარი
11.1 სესხები პარტნიორისგან	11437802

11.2 გადასახდელი პროცენტი	
პარტნიორისგან მიღებულ სესხებზე	3406034

14843836

2019 წლის 01.01 მდგომარეობით გრძელვადიანი ვალდებულება პარტნიორის მიმართ იყო:

ა) 476947 აშშ დოლარი

ბ) 2657614 ევრო

ხოლო წლის ბოლოს :

გ) 476947 აშშ დოლარი

დ) 3137579 ევრო

პარტნიორისგან მიღებულ სესხებზე წლიური საპროცენტო განაკვეთია 8-10%

12. სავაჭრო ვალდებულებები

.2019 წლის 31 დეკემბრისთვის სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს 124564 ლარს, ხოლო 2018 წლის 31 დეკემბრისთვის 106807 ლარს.

13. ჩვეულებრივი იჯარის გადებულებები

საწარმოს გაფორმებული აქვს ჩვეულებრივი საიჯარო ხელშეკრულებები. ამ იჯარების საშუალო ვადა ერთი წელია და ამავე ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდა.

2019

ლარი

ჩვეულებრივი იჯარით გათვალისწინებული

მინიმალური საიჯარო გადასახდელები,

რომლებიც მიმდინარე წელს

აღიარებულია ხარჯად

41366

14. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

2019

ლარი

ფულადი სახსრები საღაროში

49810

ფულადი სახსრები ბანკში

479

50289

ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შედგენის თარიღი:

23.09.2020წ

დირექტორი:

/ზ.ჭარბაძე